F 262 № 557

წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი 2 თებერვალი 1916 წ. № 25

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებ[illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე **საქართველო** წელიწადი მეორე

უპრემიოდ: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

პრემიით: წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი" გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი" წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური **დიდი რუკა**.

ცერძო მყიდველთათვის თვითეული კრებ. ღირ. 1 მ. 30 კ., რუკა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

ხელის მოწერა შეიძლება: **ქუთაისში:** 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში. **ბათომში:** წიგნის მაღაზია „ცოდნაში". **თბილისში:** ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь"-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან. ხარფუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში", წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ში ს. მერკვილაძესთან. **თელავში:** ზ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან. **სიღნაღში:** ნიკო ახმეტელაშვილთან. **ლაგოდეხში:** ფორე ზედელაშვილთან. **ქვემო ქიზიყში:** ფიფო ალადაშვილთან. **ზუგდიდში:** კატო კედიასთან. **მოსკოვში:** გრიგოლ ვეშაპელთან. **გორში:** ალექსანდრე რომანიშვილთან. **ხაშურში:** ტრიფონ ჯაფარიძესთან. **ჩქალდუაში:** კალისტრატე ალშიბაიასთან. **დუშეთში:** მღ. კონსტ. კავკასიძესთან. **ს. ფშავში:** ევგ. დალაქიშვილთან. **ს. შილდაში:** ვასილ კევლიშვილთან. **ს. ენისელში:** ალ. ჯორჯაძესთან. **კახში:** ზაქარია ედილაშვილთან. **მაჩხაანში:** ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი პირველი წელი

„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი"

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მერანი" უფასოდ დაურიგდებათ.

მიიღება ხელის მოწერა

სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 1916 წელს 2 თებერვალს, 1 საათზე

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოება მართავს

ელისაბედ ჩერქეზიშვილის

◆ 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ◆

სადღესასწაულო წარმოდგენას

ბილეთები ამ თავითვე იყიდება „ახალი კლუბის" კასაში.

განცხადება

„ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს „ახალი კლუბის" წევრთ, რომ 2 თებერვალს დილის 12 საათზე დანიშნულია კლუბის შენობაში

წლიური ჩვეულებრივი

წევრთა კრება

განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) მამასახლისთა საბჭოს 1915 წ. მოქმედების ანგარიში, 2) ამა 1916 წ. ხარჯთაღრიცხვა დ 3) მიმდინარე კითხვები; **არჩევნები:** 1) მამასახლისთა საბჭოსი, 2) სარევიზიო კომისიისა, 3) წევრთა და 4) მუდმივ მოსიარულეთა. 2—2

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

კბილის ექიმი

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

◆ ისადილეთ გემრიელად! ◆

ისადილეთ გემრიელად!

ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრო

„ოსტერია"

უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით

სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს **ევროპიულ დ კავკასიურ**

სადილ ვახშმებს

◆ **მწვადები ყოველგვარი. საცივი, ხარშო იმერული** ◆

საუცხოვოდ და სუფთად მორთული **კაბინეტები**

ბილიარდები, ნარდი

პატივისცემით { ი. ს. აბაშიძე / ვ. ა. თოფურიძე

(წ.—35—8)

ივახშმეთ გემრიელად!

◆ ივახშმეთ გემრიელად! ◆

ომის ამბები

ომის დეპეშები

30—31 იანვარი.

[illegible]ლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. დვინის მხარეზე გაყოლებული თხრილებიდან რუსები ნაღმებს ისვროდნენ. ივავე რაიონში რუსებმა ააფეთქეს ნაღმი და მთელი ადგილიც დაიჭირეს. მთელი დღე ამ ერთი ადგილისთვის ცხარე შეტაკება ხდებოდა, საბოლოოდ ბრძოლა რუსთა სასარგებლოდ დამთავრდა. მკვირცხლი სროლის შემდეგ რუსებმა აიღეს სოფ. გორბუნოვკა. სვენტენის ტბის მახლობლად გაცხარებული ბრძოლაა, უმთავრესად ყუმბარის მფრქვეველებით. ჩემერინთან გერმანელები დრო-გამოშვებით ქარიშხალისებური სროლით არ უსვენებდნენ რუსებს. გალიციაში ტებეროვის რაიონში ავსტრიელები სცდილობდნენ რუსების გარეკვას იმ მაღლობიდან, რომელიც წინა დღით აიღეს მათ. დიდი მსხვერპლის შემდეგ ავსტრიელებმა დაიბრუნეს მაღლობი, მაგრამ საბოლოოდ რუსთა სახელოვანი პოლკი ეკვეთა ხელახლად და მაღლობი შეინარჩუნა კიდეც. აქედან წამოყვანილი ტყვეები ერთხმად ჰმოწმობენ, რომ რუსთა არტილერიას დიდი ზიანი მიუყენებიამათთვის. საღამოთი, 29 იანვარს დ ღამით 30 იანვარს მტერი ხელახლად შეეცადა ტებეროვის რაიონში დაებრუნებინა დაკარგული მაღლობი, სამჯერ ზედიზედ ეკვეთა მძაფრი კონტრიერიშით, მაგრამ ყოველთვის დიდ-დიდი ზარალით უკუგდებულ იქმნა.

კავკასიის ასპარეზი. რუსები წინსვლას განაგრძობენ.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში მკვირცლი საარტილერიო სროლაა. რუსთა არტილერიამ აფეთქება გამოიწვია ვერვის რაიონში, იქსკიულის სამხრეთით. იაკობშტადტის რაიონში გერმანელთა ერთი რაზმი შეეცადა რუსთა თხრილებს მოახლოვებოდა ლინენ ჰოფთან, მაგრამ რუსებმა უკუაგდეს. დვინსკის ნაწილში უფრო მეტი სიცხოველე ეტყობა ილლუქსტის გარშემო ბრძოლას, სადაც გერმანელები ხელისსასროლ ყუმბარებს უშენენ მოშხამული გაზებით. გერმანელები შეეცადნენ გორბუნოვკას შემოჰსეოდნენ, მაგრამ რუსებმა უკუაგდეს.

შავი ზღვა. 29 იანვარს რუსთა ნაღმოსნებმა ცეცხლი გაუჩინეს ზღვის სანაპირო ხიდებს. ამასთანავე მოსპეს 8 იალქნიანი ხომალდი.

კავკასიის ასპარეზი აზრუმის რაიონში მომხდარ ბრძოლაში, 25 გრადუსიან ყინვაში და წელამდე თოვლში გზა გაიკვლიეს რუსის ჯარებმა, 600 ასკერი დაატყვევს, 7 სუბუქი ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში, ტყვიისმფრქვევლები, ათასი სული საქონელი და აიღეს ქალაქი კოპი.

ქამადანის რაიონში რუსებმა აიღეს დოვლედ-აბადი.

ლონდონი, 29 იანვარი. მესოპოტამიიდან ცნობები მოვიდა: 25 იანვარს ინგლისელთა მზვერავები ნასრიუდან ბრუნდებოდნენ. წინ შემოეყარნენ არაბები. ბრძოლა გაჩაღდა. ინგლისელებს დააკლდათ 373 კაცი, ხოლო მტერმა დაჰკარგა 300 კაცამდე. 27 იანვარს მაშველი ჯარი გაიგზავნა, რომელმაც არაბთა 4 სოფელი დაანგრია. ინგლისელებს 6 კაცი დაეკარგათ.

ლონდონი, 29 იანვარი. ბელგიელთა მისსია უსაფუძვლოდ სცნობს იმ გავრცელებულს ხმებს, ვითომც გერმანელებს ამ ბოლო დროს წინადადება მიეცეთ მათთვის ზავის შესახებ.

კოპენჰაგენი, 27 იანვარი. ვენიდან იუწყებიან, ცენტრალ ევროპის სახელმწიფოთა დელეგატების კონფერენციაზე შეიმუშავეს წესი მომავალ საერთაშორისო რკინის გზების გაყვანის შესახებ. კონფერენციაზე დაესწრნენ ბულგარეთისა, დანიისა, ნორვეგიისა, შვეციისა ჰოლანდიისა, შვეიცარიისა დ ოსმალეთის წარმომადგენლები. რკინის გზათა მინისტრმა განაცხადა, მომავალში ვეცდებით რკინის გზის მოძრაობა უფრო მკვირცხლი იყოს, სწრაფი, რათა მეტად განვამტკიცოთ ურთიერთ შორის ეკონომიური და კულტურული დამოკიდებულებაო.

ლონდონი, 29 იანვარი. მილანიდან იუწყებიან, მისია ბრიანისა იმაში მდგომარეობს, რომ იტალეთმა გაჰგზავნოს სოლუნში ჯარები, შემდეგ მოკავშირეთა მიერ პარიზში დაარსდეს სადიპლომატო საბჭო, დაბოლოს რომ იტალეთმაც მონაწილეობა მიიღოს სამხედრო იარაღის მზადებაშიო.

ათინა, 28 იანვარი. სკუდულისმა დეპუტატთა პალატაში განაცხადა: ჩვენ მტკიცედ ვადგივართ ნეიტრალობის პოლიტიკას. ვგრძნობთ, ამითი აუწერელი ზარალი მოგვდის, მაგრამ ეს შედარებით არაფერს ნიშნავს იმ უბედურებასთან, რაც მოგველოდა თუ ომში ჩავერევოდითო.

პარიზი, 31 იანვარი. ბელგიის ფრონტზე გერმანელებმა ჯერ ნიადაგი საკმაოდ ძლიერი არტილერიით მოიმზადეს და ისე გამოემართნენ იზერის არხის გადასალახავად სტეენსტრეტეს და გეცხასის მაღლობთან, მაგრამ ჩვენი შეთანხმებული საარტილერიო და ტყვიისმფრქვეველთა მოქმედებით შეჩერებულ იქმნენ. შამპანში საკმაოდ მკვირცხლი ბრძოლა ასტყდა მენილის გორაკთან და ნავარენთან. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა მოახერხეს გამაგრება, ნავესენისა და სენსუპლეს შუა ხაზზე. მენილის გორაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა სცადეს ახალი კონტრიერიშით ამოვერეკეთ ჩვენი თხრილებიდან, მტერი უკუ ვაგდეთ, ამასთანავე რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. არგონებში, ფურდეპარის მახლობლად, ჩვენ ავაფეთქეთ მტრის სანგარი. ვოგეზებში, ვისენბახის ჩრდილოეთით, მტრის ქვეითა ჯარი გამოემართა იერიშით, მაგრამ ჩვენს სანგრების პირველ ხაზსაც ვერ მოაღწია, უკუ ვაგდეთ.

ბუქარესტი, 27 იავარი. სტამბოლიდან მოსული ცნობების თანახმად მემკვიდრე იუსუფ-იზედინის სიკვდილი ახალგაზრდა ოსმალთა საქმე ყოფილა. ექიმები, ვინც მისი სიკვდილი შეამოწმეს, ამავე კომიტეტის მიერ ყოფილან დავალებულნი.

კოპენჰაგენი, 29 იანვარი. ვოლფის სააგენტო იუწყება: გერმანეთის მთავრობამ აუწყა ჰოლანდიისას „არტემიზას" დაღუპვის გამო მზად ვართ ზარალი ავანაზღაუროთო.

მალმე, 29 იანვარი. გერმანელთა ხომალდი „ტურინი" რომელიც ნორდენ ჰომანიდან ქრისტიანიაში მიემგზავრებოდა, ვალგრუნდთან გაირიყა. სამი დამხმარე კრეისერი მიეშველა, მაგრამ ვერა გააწყვეს რა, ჰფიქრობენ, ხომალდი დაიღუპაო. მაზე სამი ათასი ტონა ქვანახშირი იყოო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთი

გერმანელების გაზეთი რუმინეთში

ბუქარესტში გამოდის გერმანელების გაზეთი „ლუია". ამ გაზეთში ამას წინად დაისტამბა წერილი, სადაც დამწერი ამბობდა: 1914 წლის სექტემბრიდან რუმინეთის მთავრობა ორჭოფ პოლიტიკას აწარმოებს გერმანეთის მიმართ. რუმინულ გაზეთების უმრავლესობა აშკარად გამოდიან გერმანეთის წინააღმდეგ, ხოლო მთავრობის თვალსაჩინო წარმომადგენელნი კი მომხრენი არიან, რომ რუმინეთმა გაზაფხულზე ევროპის შუაგულ სახელმწიფოების წინააღმდეგ გაილაშქროს. ამისათვის საჭიროა, გერმანეთმა გადაჭრით მოსთხოვოს რუმინეთს, თუ საბოლოოდ რა გზას ადგია იგი. რუმინული გაზეთები ბევრს გაჰკივიან თავისი ჯარის ძლევა-მოსილობაზე. მაგრამ საკმარისი როდია მხოლოდ ყვირილი, 700 ათას მეომარს გამოვიყვანთო, მაშინ როდესაც ნამდვილად რუმინეთს 10 კორპუსზე მეტი ჯარის გამოყვანა არ შეუძლიან: ამ წერილმა დიდი აურზაური გამოიწვია რუმინეთის საპარლამენტო წრეებში. ცნობილი სენატორი დობარესკუ გარეშე საქმეთა მინისტრს პორუმხარს შეეკითხა ამის გამო და გადაჭრით მოითხოვა ამ გაზეთის ალაგმვა, რადგანაც იგი რუმინეთის ეროვნულ ღირსებას და ჯარის სახელს ჰბღალავსო. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ამ საქმის გამო შინაგან საქმეთა მინისტრს შევეკითხებიო.

მაკენზენი მაკედონიაში.

ვენიდან იტყობინებიან, ფელდმარშალი მაკენზენი უკვე ჩავიდა მაკედონიაში, სადაც ავსტრიელ-ბულგარელგერმანელების ჯარია დაბანაკებული. მაკენზენი ხელმძღვანელობას გაუწევს სალონიკზე გალაშქრებას.

ბრძოლა სალონიკთან.

რომიდან იტყობინებიან: დოირანის მახლობლად გერმანელებისა და ინგლისელების მძიმე ზარბაზნების ბრძოლა დაიწყო. ეს ბრძოლა დასაწყისია სალონიკზე გალაშქრებისა. ბრძოლის შედეგი ჯერ არ გამოუმჟღავნებიათ.

რუსეთის ასპარეზი.

ბრძოლა რიგის მიდამოებში.

რიგის მიდამოებში ისეთი საშინელი სროლა იყო რომ დიდ მანძილზე მიწა ზანზარებდა. სროლა აყრუებდა არემარის. ორივე მხარე მედგრად იბრძოდა ზარბაზნებით. რუსულ გაზეთების სიტყვით, გერმანელების ზარბაზნები ჩააჩუმეს. აქვე მოქმედებდნენ რუსეთის ჯავშნიანი ავტომობილები.

კორფუს სრუტე შეჰკრეს.

კორფუს სრუტე კერძო ნაოსნობისთვის დაკეტილია. ინგლის-საფრანგეთის მთავარსარდლის განკარგულებით, კორფუს სრუტეში მიმავალ სავაჭრო გემებს განსაკუთრებული ნებართვა უნდა ჰქონდეთ საფრანგეთის ესკადრისაგან, რომელიც კორფუს სანაპიროებს სდარაჯობს.

რუმინეთი.

სტოკჰოლმის გაზეთების ცნობით რუმინეთ-გერმანეთის დამოკიდებულება მწვავდება. ამის გამო ბულგარელები, თურმე რუმინეთის საზღვარზე ჯარს აგროვებენ. ამბობენ, თუ რუმინეთი ომში ჩაერია, მოკავშირეებიც ამავე დროს იერიშს მიიტანენ, შეეცდებიან მოპირდაპირის ჯარი გაარღვიონ და სტამბოლისაკენ გაემართნენო.

კონსულების გაძევება.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: გერმანეთ-ბულგარეთის სამხედრო შტაბებმა გადასწყვიტეს მონასტირიდან და სხვა ბულგარეთისა და მაკედონიის მოსაზღვრე ქალაქებიდან გააძეონ ნეიტრალ სახელმწიფოთა კონსულები.

პოლონეთი

ბრალმდებელი მოორი

ჰინდენბურგის მთავარ ბანაკიდან იტყობინებიან, რომ ვიურტემბერგის ლანდტაგის დეპუტატი ექიმი მოორი ვლოცლავსკში ბრალმდებლად დაინიშნა.

აფეთქება პილზენში

ამას წინად პილზენში არსებულ შკოდის ქარხანაში აფეთქება მოხდა. შკოდის ქარხანა ცნობილია როგორც საუკეთესო ქარხხანა ავსტრია-გერმანელებისათვის სასროლი მასალის დამზადებელი. აფეთქებამ მთლად გაანადგურა ქარხნის სამი განყოფილება. ამ განყოფილებაში თურმე მზადდებოდა ზარბაზნები. როგორც ამბობენ მელინიტი აფეთქებულა. სულ ერთი მეორეს მოჰყვა 305 აფეთქება. 195 მუშიდგან ზოგი დაშავებულა, მძიმედ დასახიჩრებულა. მთელი ზარალი 10 მილიონ მარკას აღემატება.

—

Le Journal"-მა გამოაქვეყნა ჰანრი ბარბის წერილი. ეს ერთად ერთი ჟურნალისტია, რომელიც თავიდან ბოლომდე მოწამე იყო სერბეთის განწირულებისა. ბარბი ფიცულობს, ენკენისთვის დამლევს და ოქტომბრის დასაწყისში, ვიდრე ბულგარები დაეცემოდნენ სერბელთ, სერბეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრემ მიჰმართა საბერძნეთის მეფეს დეპეშით და რჩევა სთხოვა, როგორ მოვიქცეო. ამ ტელეგრამაზე მეფემ უპასუხა: „მხოლოდ შენმა მეგობრულმა დეპეშამ მაიძულა მეგობრული პასუხი გაქცე: მენდე, დამიჯერე, ჯერ კიდევ საქმე არ არის წაგებული: სერბეთს ხსნის ერთი გზაღა აქვთ დარჩენილი, ეს გახლავთ ის, რომ ზავით შეეკრას გერმანეთსა და ავსტრეთს. მე თავდებად დაგიდგები, რომ გერმანეთს აზრადაც არა აქვს ბოროტი მიაგოს სერბეთს. იგი არასფერს მოითხოვ გარდა ერთ საქმისას: თავისუფალი გზა მისცეთ თქვენს სამფლობელოზე გასასვლელად. მერწმუნე, მე ყველაფერს მოვაგვარებ, შუამავლობას გაგიწევთ ორთავე მხარეს, ვიცი გერმანეთის მთავრობა ჩემს თხოვნას შეიწყნარებს და იგი აიძულებს ავსტრიას, მისი სურვილი შესრულებული იქმნას და სერბეთს დაეთმოს დალმაციის ნაწილიო". მეფის ასეთს რჩევას არ დაუჯერა სერბეთმა, ისევ ნანგრევებად ქცევა არჩია...

ელექტრონის მატარებლები

ავსტრო - გერმანელები ყოველდღე ახალ-ახალ რამეს იგონებენ. ეხლა მოუგონიათ ულიანდაგოდ მავალი მატარებელი, რომელიც ელექტრონით უნდა ატარონ. ამ მატარებელს შეეძლება 20 ათასი ტონა (1,600 ფუთი) ტვირთი ჰზიდოს. ეს მატარებელი ჯდება 40 ათასი მანეთი. ეს მატარებელი მით უფრო სახარბიელოა, რომ თავისუფლათ შეუძლიანთ მთებზე ატა-

რონ, საათში ვაკეზე გადის 18 კილომეტრს, ხოლო მთებზე საშუალოდ ათს კილომეტრს. მისი აგებულება ფრიად მარტივია და სამს კაცს შეუძლიან ატაროს. მატარებლის მომგონი ავსტრიელია.

უკანასკნელი ფოსტა

რუმინეთი.

„დეილი ქრონიკლ“-ს მილანიდან ატყობინებენ, რუმინეთის საზღვარზე ოსმალებსა და ბულგარელებს სწრაფად გადაჰყავთ ჯარები. რუმინეთი შუაგულ სახელმწიფოთა გულის მოსაგებად დასტურს აძლევს მათ, რუმინეთიდან 100 ათასი ვაგონი ხორბალი გაიტანონ.

ფონ-ბეზელერის განკარგულება.

ლონდონიდან „ზ. ვ.“-ს დეპეშით ატყობინებენ: ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა ფონ-ბეზელერმა ბრძანება გამოსცა: „ბევრი ადგილობრივი მკვიდრი ქალი გერმანელთა მთავრობას შემწეობას სთხოვს იმ შვილების ასაზრდელად, რომელნიც გერმანელ მეომრებისაგან შესძენიათ. ასეთი ბავშვები გერმანეთში გაიგზავნებიან, ხოლო მშობლებს თვეში მიეცემათ ვაჟის დედას 150 მარკა, ქალისას—100 მარკა. ვინც შვილებს არ დასთმობს დახმარება არ მიეცემათო.

სათათბიროს გარშემო

9 თებერვალს, სათათბიროს პირველ სხდომაზე რუსის გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი ილაპარაკებს საგარეო პოლიტიკაზე.

რუსი ჟურნალისტები ინგლისში

რუსი ჟურნალისტები ნემიროვიჩ-დანჩენკო, ბაშმაკოვი, ეგოროვი და ტოლსტოი მიემგზავრებიან ინგლისში, სადაც დაათვალიერებენ ქარხნებს და სამხედრო გემებს.

ბრძოლის ველზე

ჩრდილოეთის ფრონტზე ბრძოლა თანდათან მწვავდება. რიგასა და დვინსკ შუა ბრძოლის ველი უმეტეს ნაწილად ზედ მდინარე დვინის ნაპირას ხდება, ხოლო აქა-იქ მდინარის მარცხენა ნაპირი უჭირავთ და მარჯვედროს უცდიან, რომ ანაზდეულად მეორე ნაპირზე გადმოვიდენ. ოლთის რაიონში ბერზე მიუნდესთან მწვავე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. იქსკიულის სამხრეთით ვევერთან რუსის არტილერიას გერმანელთა რამდენიმე სანგარი დაუნგრევია. დვინსკის რაიონში უყალზედ უფრო ცხარე საარტილერიო ბრძოლა ილუკსთან სწარმობს. აქ გერმანელები ხმარობენ შხამიან ბოლს.

კავკასიაში რუსის ჯარი აზრუმის რაიონში წინ მიიწევა. ტყვედ წამოუყვანიათ რამდენიმე ათეული ოფიცერი და 600 ასკერი. ტყვეებთან ერთად წამოუღიათ 7 ზარბაზანი, ტყვის მფრქვეველები და ტყვიითა და ყუმბარებით გატენილი ყუთები. დეპეშა იუწყება აგრეთვე რომ აზრუმის ერთ-ერთ ფორტში დიდი აფეთქების ხმა მოისმა, რაიც შედეგად მოჰყოლია რუსის ზარბაზნების სროლას. ხნისის რაიონის პოზიციებიდან ოსმალები გამოურეკიათ და დაუჭერიათ ქალაქი კოპი.

სპარსეთში ქამადანის რაიონში რუსებს დაუჭერიათ ქალაქი დოვლედაბადი.

მეგრი.

თბილისი, 2 თებერვალი

მომხდარი ფაქტი და ჩვენი მოვალეობა.

შესრულებული ფაქტის წინაშე ვდგევართ. იმ აჭარის ერთი ნაწილი, რომელიც უხსოვარ დროიდან გუშინამდე ქართველი ერის სამკვიდრებელი იყო, სხვების ხელში გადავიდა. მტრისა და ჯარებმა აახრეს 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს ტერიტორიის ეს კურთხეული ნაჭერი, სადაც ერთნაირის სილამაზით ჰხარობს როგორც ნაზი ფორთოხალი და ზეთის ხილი, ისე მწარე თამბაქოც. გრდემლსა და ჩაქუჩ შუა მომწყვდეულმა აჭარლებმა, რომ სული შეერჩინათ, დასტოვეს ეზო, სახლი, კარი, მთელი თავიანთი ნაამაგარი და შუაგულ ზამთარში ცივსა და სტუმართ-მოძულე მთა-ხევებს მიაშურეს. „დატოვებული ავლა-დიდებიდან, რაც სახელდახელო იყო, ყველაფერი გაიტაცეს. მტერი თანაბარის გულმხურვალებით ეწეოდა ოხრად დაყრილის გატაცება-მითვისებას. არ გადარჩა სახლის არც ერთი ავეჯეულობა, არ დაინდეს უბრალო სპილენძის ჭურჭლეულობა. მთელ აჭარიდან მრავალი ათასი ფუთი თამბაქო გაზიდეს. ამ ოპერაციის შემდეგ დარჩა გაძარცული და ცარიელი მიწა-ადგილები და შენობები, რომელთა ან ადგილიდან დაძვრა ან ჯიბეში ჩადება შეუძლებელი იყო.

უპატრონოდ დარჩენილი ადგილები „საჯარო“ ვაჭრობით სომხებმა დაინარჩუნეს.

1877—78 წწ. რუს-ოსმალთა ომს ამგვარივე აქტები მოჰყვა, რაიცა დღეს საბუთად გამოადგათ, საქართველოს ტერიტორიის შესაკუმშავად, არა მარტო უცხო ტომის პოლიტიკურ მოღვაწეებს! ამ მაგალითით ჩვენ უნდა შეგნებული გვქონდეს, თუ რა ახალ ეროვნულ უბედურებას ჩაეყარა საძირკველი იმ ფაქტით რომ აჭარა იჯარით სხვა ტომის ხელში გადავიდა. საკუთარი სამკვიდრებლის გადასვლა სხვა პოლიტიკურ ზრახვით და სხვა ეროვნულ მისწრაფებით აღძრულ ხალხის ხელში თავისთავად გარდუვალ ხიფათს ჰქმნის,

დღევანდელს პირობებში, ამ ატეხილ საერთაშორისო ომს ამაზედ დიდი უბედურობა არ მოუმატნია ჩვენი პატარა ქვეყნისთვის. ომში დაღუპულ შვილებზე ქვეყანა ცრემლს შეიშრობს გულს მოიოხებს; შეწირულ სიცოცხლეს ახალი სიცოცხლე გამოისყიდის; ეკონომიურ ცხოვრების შერყევას ქვეყანა კვლავ გამოაბრუნებს, მაგრამ დაკარგულ **ახალ-ქალაქების** დასაბრუნებლად, ამ ჩვენს უკუღმართ დროში, შენი სამშობლო ქვეყნის შვილებსაც ვერ შეითანხმებ და რომც ესენი დაიყაბულო, განა თვით ამ **ახალ-ქალაქების** მკვიდრები დაგთანხმდებიან?! და ქვეყანა ჩაიფლება წეწვა-გლეჯაში, რომელიც მის თვითშემოქმედ ენერგიას და გაზრდის ინსტიქტს შეანელებს და დააძაბუნებს. ჩვენ ვშიშობთ, ვაი თუ დღევანდელ ქართველობას სათანადოთ გათვალისწინებული არა ჰქონდეს ამ ახლად შექმნილ გარემოების მთელი საშინელება! თავის დაცვისათვის ზრუნვა არავის არ დაეძრახება.

ვერ ვიქმენით ფხიზლად; ცუდი დარაჯი გამოვდექით ჩვენივე სამშობლოსი. ვერ მოუარეთ, რაც მოსავლელად დაგვიტოვეს მთა-კლდეებში გახიზნულმა ჩვენმა მოძმე მაჰმადიანმა ქართველებმა. ჩვენდა **უცოდნელად** მათ მამულ-დედულს უცხონი დაეპატრონენ. სირცხვილია, მაგრამ ასე მოხდა. ფაქტი შესრულდა. ამ გარემოებამ მოვალეობა ერთი ორად გაგვიდიდა. ვიდრე გვიანი იქნებოდეს, უნდა ვცადოთ ყოველი საშუალება. იქნებ შესაძლო იყოს ამ საქმეს ფორმალურ-უფლებრივად მივუდგეთ.

დასაბუთებული მოხსენება და კანონიერი მოთხოვნილება ვამცნოთ ადგილობრივ მთავრობას, მოველაპარაკოთ იმ წრესაც, რომელიც იურიდიულ პიროვნებად გადადის აჭარის იჯარით აღებაში. საჭიროა ორთავეს მოსმენა, რომ დავრწმუნდეთ, თუ რანაირია ამ საქმეში ჩვენდამი მათი პოზიცია და განზრახულება. ახალი საბუთი არასოდეს არ გვავნებს. თუ გარემოებამ მოითხოვა, ცენტრის პოლიტიკურ წრეებსაც მივაშუროთ.

ეხლა საკითხი იბადება, თუ ვინ უნდა გადადგას ასეთი ნაბიჯი. ყველა ქართული დაწესებულება და წოდება, შიგ ქართულ ქალაქების თვითმართველობათა ჩარიცხვით, უნდა ასპარეზზე გამოვიდეს.

ერის დეპუტაცია უნდა წარსდგეს მეფის ნაცვლის წინაშე და მოახსენოს, რაც ასეთ დროსა და გარემოში აწუხებს და აღელვებს მთელ ქართველ საზოგადოებას. ქართულმა პრესამ თავდაჭერით და არა-ნერვიულად უნდა გააშუქოს ეს საქმე, გაიხსენოს ამგვარი საქმეებიც ჩვენი წარსულის ცხოვრებიდან დაანახოს მთავრობას მსგავსი ნაბიჯების დიდი მავნებლობა, როგორც საერთო სახელმწიფოს ინტერესისა, ისე ჩვენი ეროვნული ინტერესისათვის. ასეთის მტკიცებით ქართული პრესა მხოლოდ განიმეორებს იმ საბუთებს და მოსაზრებათ, რაიც თვით შეგნებულ რუსებს არა ერთჯელ მოუყვანიათ, მაგ. გენერალ ფადეევს გაზეთ „კავკაზის“ ოთხმოციან წლების ნომრებში.

დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

ქერეჯში (სპარსეთშია) რუსეთის რაზმის შესვლისას შეპყრობილ იქმნა ოსმალეთის ელჩი. ამის გამო სპარსეთი რუსის მთავრობას პროტესტს უცხადებს. ოსმალეთის ელჩის განთავისუფლებას შეუძლებლად სცობენ, რადგან იგი იმ ადგილას იქმნა დაპატიმრებული, სადაც რუსეთის ჯარი მოქმედებსო.

—

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან: მარტის შუა რიცხვებში ქ. მადრიდში, (ესპანეთშია) ნეიტრალ სახელმწიფოთა მსოფლიო კონგრესი მოხდებაო.

—

ფელდმარშალ მაკენზენს თავის არმიაში არ ჩაურიცხია ისეთი ჯარისკაცნი და ოფიცერნი, რომელნიც დამნაშავედ ითვლებოდნენ და ვილჰელმმა შეიწყალა.

—

ვილჰელმმა ტრანსილვანიისთვის ავტონომია მოითხოვა.

ახალი ამბავი

◆ **შიო მღვიმელის** სადღესასწაულო დილა, როგორც საბოლოოდ გამოირკვა, გაიმართება 14 თებერვალს სახაზინო თეატრში. დარბაზი თეატრისა უკვე დაქირავებულია. ბილეთები გაიყიდება 4 ამა თვიდან.

◆ **ვაზის წამალი.** უკანასკნელი სარწმუნო ცნობა ვაზის წამლის შესახებ ასეთია: თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კონტრაგენტს ბ-ნ ფრიდონოვს მოუვიდა 4,000 ფუთამდე შაბიამანი და 8,000 ფუთსაც ამ დღეებში მოელის. მაშასადამე სულ იქნება მცირე ხნის განმავლობაში 12 ათასი ფუთი შაბიამანი. ხსენებულმა მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა უკანასკნელ თავისს სხდომაზე დაადგინა, რომ უპირველესად შაბიამანი მიეცესთ ვენახების პირველ წამლობისთვის იმ დაწესებულებათ (კოოპერატივებს), რომელნიც ჩაწერილ არიან სიაში, მათგან ფრიდონოვს ბე აქვს მიღებული და პირობით არის შეკრული, რომ მათ უთუოდ მისცემს შაბიამანს. დარჩენილი შაბიამანი განაწილდეს დანარჩენ მთხოვნელთა შორის, მაგრამ ეს განაწილება უნდა მოხდეს თანახმად იმ დადგენილებისა, რომელსაც გამოიტანს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის პრეზიდიუმი.

„აკაკის საღამო“. „განათლების“ საზოგადოების ქალთა სასწავლებელში 31 იანვარს, საღამოს 5 საათზე, გაიმართა აკაკის გარდაცვალების 1 წლის აღსანიშნავად საღამო, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო. დამსწრეთა შორის იყო ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი. დიდი ყურადღება მიიპყო მეხუთე კლასის მოსწავლე ქალის რეფერატმა აკაკის შესახებ. კარგად იყო წარმოთქმული აკაკის რამდენიმე ლექსი. „პატარა კახი“-ს პირველი მოქმედებაც კარგად წარმოადგინეს მოსწავლეებმა. შეგირდებისავე გუნდის სიმღერებმა დაატკბეს დამსწრენი. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან არსებულმა სასკოლო სექციამ დაადგინა ეხლავე გახსნას საზოგადოებამ სკოლები საინგილოსა, ბორჩალოსა და განაპირა სამეგრელოში. სექცია ამასთანავე წყაროსაც უჩვენებს, რომლითაც შესაძლებელია ამ სკოლების გახსნა და შენახვა. სექციის დადგენილებას პირველ კრებაზედვე განიხილავს საზოგათოების მთავარი გამგეობა.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობას, საზოგადოების ახალციხის განყოფილება 5.000 მანეთს სთხოვს გადმოხვეწილთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

◆ **ცნობების შეკრება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა ბ-ნ მიხ. აბულაძეს გზავნის ქართლში ომიანობისაგან დაზარალებულთა ოჯახების შესახებ ცნობების შესაკრებად.

◆ **მუსულმანთა საღამოს**, კვირას, 31 იანვარს ახალ კლუბში დიდძალი საზოგადოება დაესწრო. შემოსავალი გადიდება ადგილობრივ მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **წერა-კითხვის** საზოგადოების სკოლების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე ამ დღეებში კახეთს და საინგილოში მიემგზავრება. კახეთში მან უნდა დაათვალიეროს საზოგადოების სკოლები, ხოლო ზაქათალაში უნდა აირჩიოს სოფელი, საცა საზოგადოებამ უნდა დააარსოს სკოლა.

◆ **მეფის ნაცვლის** მეუღლის დიდ მთავრის ნიკოლოზის ასულ ანასტასიასთან და დიდი მთავრის ნიკოლოზის ასულ მილიცასთან სადარბაზოდ იყო სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი მ. ა. ანდრონიკაშვილი.

◆ **თბილისში ჩამოვიდა** სახელმწიფო სათათბიროს ნადეპუტატარი ცნობილი ჰიგიენისტი მ. ი. კაპუსტინი, რომელსაც მინდობილი აქვს დაათვა[illegible] ყველა სამკურნალო [illegible] გოგირდის წყლები.

◆ **პეტროგრადს გაემგზავრა** სახელმწიფო სათათბიროს წევრი მ. ი. პაპაჯანოვი.

◆ **ლ. კ. მამაცაშვილი.** 18 იანვარს დასავლეთის ასპარეზზე მოკლეს არტილერიის დივიზიის კომანდირი, პოლკოვნიკი ლევან კონსტანტინეს ძე მამაცაშვილი. განსვენებული გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის შვილი იყო. კვირას, 31 იანვარს ქვაშვეთის ტაძარში ქართველ საზოგადოების და პატივისმცემელთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

◆ **ჯეჯილის** იანვრის ნომერი იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა. დაგვიანების მიზეზი იყო რედაქტორის ავათმყოფობა.

◆ **რედაქციამ** მიიღო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-13 ნომერი.

◆ **კოშტი სანთელი.** კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების თაოსნობით კრება მოხდა კოშტი სანთლის შესაძენად საეპარქიო სანთლის ქარხნებისთვის. კრებაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლებმა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა, კოოპერატივებისა, მიწად-მოქმედების დეპარტამენტისა, წვრილ კრედიტისა და საეპარქიო სანთლის ქარხნისა. კრებამ დაადგინა: მოაწყონ კავკასიაში ერთი სანთლის ქარხანა, გააცნონ მეფუტკრენი სანთლის სადნოგაუმჯობესებულ წესებთან, გამოსცენ ბროშურები მეფუტკრეობაზე ადგილობრივ ენებზე, დანიშნონ პრემია საუკეთესო სანთლის სადნობის გამოგონებისთვის, განავითარონ საინსტრუქტორო მოქმედება მეფუტკრეობაში, მოაწყონ მეფუტკრეობის კურსები სასულიერო სასწავლებელთან, საოსტატო სემენარიებთან და დაბალ სასწავლებლებში და დაევალოს კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებას კოოპერატივების შემწეობით შეისყიდოს კოშტი სანთელი. დადგენილ იქმნა აგრეთვე ეთხოვოს უწ. სინოდს კოშტი სანთელი არ იქმნას გატანილი საზღვარგარედ. ყველა ამ ზომების განსახორციელებლად დადგენილ იქმნა კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების საბჭოში მიწვეულ იქმნენ წარმომადგენლნი საეპარქიო სანთლის ქარხნისა, მიწად-მოქმედების დეპარტამენტისა, წვრილ კრედიტისა და საერობო აგრონომიულ ორგანიზაციებისა.

◆ **ვაჟა-ფშაველას** გარდაცვალების ნახევარ წლის აღსანიშნავად 31 იანვარს დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და შემდეგ პანაშვიდი.

◆ **მილოვ-ადილხანოვების და სხ. საქმე.** მილოვსა, ადელხანოვსა ოსეპიანცს და ჩაჩიკიანცს თხოვნა ჰქონდათ შეტანილი ოლქის სასამართლოში შესახებ იმისა, რომ თავდებობით გაენთავისუფლებინა ისინი სატუსაღოდან. მათი თხოვნა განუხილავს ოლქის სასამარ-

მასალები სწავლა-განათლების საკითხის შესახებ საქართველოში

> ინტელიგენციის ძალა ხომ მის ცნობიერების ძალაში ისახება...
>
> და რამდენადაც დავაკვირდი საგანს, ქართველ ინტელიგენციის მე-XIX საუკუნის ისტორია არ არის თავის, უფლების მცნობ ერის ინტელიგენციის ისტორია. *)
>
> **არჩილ ჯორჯაძე.**

I

ქართველ ერის საზოგადოებრივი ცხოვრება ბევრ სხვა მხარესთან ერთად სწავლა-განათლების მხრითაც უფერულად და მახინჯად მიმდინარეობს დღევანდლამდე.

ამ უფერულობისა და სიმახინჯის მიზეზი, ჩვენდა დამოუკიდებელ და ჩვენ გარეშე მყოფ ძალის გარდა, თვით ქართველ ხალხის არსებაშიაც ბლომად მოიძებნება.

ჩვენმა საზოგადოებამ დღევანდლამდე ვერ შესძლო სწავლა-განათლების საკითხის ფხიზლად გადაწყვეტა. მას ვერც შეეძლო ამ საქმის რიგიანად მოწესრიგება ჩვენში, რადგანაც თვით ქართველმა ერმა, როგორც ერთგვარ ორგანიულ ერთეულმა, თითქმის დღესაც კი, ვერ დააღწია თავი იმ ძირითად უკუღმართობას, რომელიც საფუძვლად დაედვა მთელს ჩვენს წარსულ საუკუნის ცხოვრების ტრაგიზმს და, რამაც წარმოშობა და გაამეფა ჩვენში ერთგვარი ეროვნული უილაჯობა.

ახლაც ძნელად გამოსაცნობია—შესძლებს თუ არა ჩვენი საზოგადოება დღევანდელ მომენტში მაინც ამ საქმის მოწესრიგებას, რადგანაც ჩვენი სასკოლო საკითხის მომავალი, ბევრს სხვა საერთო რეფორმათა ბედ-იღბალთან ერთად, ჯერაც კვლავ კიდევ დამოკიდებულია ჩვენდა დამოკიდებულ პირობების შემდგომ მიმდინარეობაზედ; და ყველა ესეც რომ არ იყოს, ძნელად გამოსაცნობია აგრეთვე ისიც, თუ რამდენად შესძლებს დღევანდელი ჩვენი საზოგადოება, მისთვის ხელსაყრელ გარეშე პირობებშიაც კი, თავის საკუთარ არსებაში და ფსიხიკაში გამჯდარ დამაბრკოლებელ მიზეზთა გადალახვას და დათრგუნვას?

ყველა ეს დღეს-დღეობით სათუო საკითხს შეადგენს; ამას, რასაკვირველია, მხოლოდ მომავალი დაგვანახვებს. მაგრამ, დღევანდელი ჩვენი საჭიროება კი და წმიდა მოვალეობა ჩვენის მამულის წინაშე იმას გვიკარნახებს, რომ ჩვენ მიუდგომლად და გულდასმით უნდა შევეხოთ ამ საკითხს და ერთგვარი გამმარკვეველი შუქი მოვფინოთ მის წარსულსა. საქართველოში სწავლა-განათლების საკითხის ყოველმხრივი გამორკვევა და შესწავლა ქართულ სკოლის მომავალ მკვლევართა საგანს შეადგენს. ამ საკითხის შესახებ ერთგვარ მეცნიერულ შრომის დაწერა დღეს-დღეობით შეუძლებელ საქმეთაც კი მიგვაჩნია, ვინაიდგან ბევრ სხვა ნაკლუვანებასთან ერთად, ჩვენს ლიტერატურაში მისთვის საჭირო დამუშავებული მასალებიც კი არ არსებობს აქამომდე.

ამ საკითხის ყოველმხრივ და ღრმა შესწავლის საქმეს ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ამისთვის საჭიროა ჩვენს წარსულ საუკუნის მაინც დაწვრილებითი ცოდნა და ამ ხანის ყოველმხარეთა გაშუქება ერთგვარ მეცნიერულის თვალთაზრისით და სიმტკიცით.

ამიტომაც, დღევანდელ წერილში ჩვენ ვერ შეუდგებით ამ საკითხის ისტორიის სისტემატიურ განხილვას მთელს მე-XIX საუკუნის განმავლობიდან მოყოლებით.

დღეს ჩვენ არ ძალგვიძს აგრეთვე მოკლედ მაინც შევეხოთ ჩვენში არსებულ ყოველგვარ ტიპისა და ხარისხის სასწავლებელთ.

ზემოაღნიშნულ წერილებში შეძლებისადაგვარად შევეცდებით მხოლოდ ჩვენ საშუალო სასწავლებელთა მიმდინარეობის და განვითარების განხილვას ჩვენში. ამ ტიპის სასწავლებელთა მიმდინარეობის და ცხოვრების სვე-ბედი ჩვენ დღეს უფრო მეტად გვაინტერესებს, ვინაიდგან მასში იზრდება უმრავლესობა ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც უფრო აქტიურად ასვამს დაღს დღევანდელ ჩვენ საზოგადო საქმიანობას და ჩვენს ეროვნულ თვითგრძნობიერების ჰსიხიკას. სწავლა-განათლების საკითხის განხილვა და შესწავლა სწორედ ამ ტიპის სასწავლებელთა განხილვით უნდა დავიწყოთ, ვინაიდგან ჩვენი საზოგადოება მასში უფრო აქტიურად მოქმედობდა და კიდევაც მოქმედობს დღევანდლამდე, რის გამოც ამ დარგში უფრო ნათლად და მკაფიოდ აღიბეჭდა და გამომჟღავნდა ჩვენი ინტელიგენციის და საერთოდ მთელ ქართველ საზოგადოების თვითცნობიერების ავლადიდება.

ყველა ამასთან თვით დღევანდელი მომენტიც გვიკარნახებს და გვაიძულებს კიდევაც ამ საკითხის შესახებ გადაჭრილ პასუხის გაცემას.

ჩვენ სახეში გვაქვს 1914 წლის კანონი, რომლის ძალითაც, რუსეთის იმპერიის სხვა პატარა ერებთან ერთად, ქართველობასაც უფლება ენიჭება სამშობლო ენაზედ აწარმოვოს საკუთარ სასწავლებლებში მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე. არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ და ანგარიში არ გაუწიოთ აგრედვე იმ ფაქტსაც, რომ დღეს, რუსეთის მთელ მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, თვით სწავლა-განათლების სამინისტრო ბ. იგნატიევის პირით აღიარებს რუსეთის საშუალო სასწავლებელთა უვარგისობას და დღევანდელ ცხოვრების პირობებთან უაღრეს მათ შეუსაბამობას, რის გამოც იმავე სამინისტროსთან ამ რამდენიმე თვის წინად ბ. იგნატიევის თაოსნობით დაარსდა მთელი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ამ სასწავლებელთა ძირითად რეორგანიზაციის და რეფორმის საქმე. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარმეტყველობა ამ რეფორმათა მომავლის შესახებ, მაგრამ ანგლიის გამოჩენილ პოლიტიკოს ლოიდ ჯორჯთან ერთად გვრწამს, რომ რუსის ხალხის ბორკილებთან ერთად, გერმანიის ზარბაზნებთა დღევანდელ ჰექა-ქუხილში, შეირყევა აგრეთვე რუსეთის იმპერიაში დამონებულ ერთა ცხოვრების დღევანდელი შემბორკველი ზღუდეებიც. ჩვენა გვრწამს აგრეთვე ისიც, რომ დღევანდელ საერთაშორისო ომის შემდეგ, საერთოდ მთელ რუსეთსა და კერძოდ მის განაპირა ქვეყნებში უფრო ინტენსიურად იფეთქებს კულტურულ-ეკონომიურ და ეროვნულ-პოლიტიკური მაჯის ცემა.

და სწორედ ეს რწმენა გვიკარნახებს და გვაიძულებს კიდევაც ერთგვარის მიუდგომლობით ჩავსწვდეთ და ავღნიშნოთ ჩვენის არსების უარყოფითი და დადებითი მხარეები, რადგანაც უამისოდ ძნელი არის და შეუძლებელიც ჩვენის მომავლის ნამდვილ საჭიროებათა და მათ მისაღწევ საშუალებათა გამორკვევა და გათვალისწინება.

დღევანდელი ქარტეხილი ძირითად გარდაქმნას უქადის კაცობრიობის შემდგომ ცხოვრებას და, რასაკვირველია, შეცვლილ და გართულებულ ცხოვრებაში ის გამოვა გამარჯვებულად, ვინც რომ უმეტეს ნიჭსა და უნარს გამოიჩენს ახალ პირობებთან შეგუებაში.

და სწავლა-განათლებაც ხომ ერთგვარი საშუალებაა მხოლოდ, ერთი იმ იარაღთაგანი, რომლითაც ადამიანი (კერძოდ რომელიმე პიროვნება, საზოგადება, ერი, უთ მთელი სახელმწიფო) იკმაყოფილებს თავის საკუთარ მოთხოვნილებას.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დღევანდელ წერილებში უპირველეს ყოვლისა ჩვენ საშუალო სასწავლებელთა განვითარების მიმდინარეობას შევეხებით, რადგანაც ამ ხასიათის სასწავლებელთა ცხოვრებაში ქართველი ხალხი უფრო აქტიურად მოქმედობდა და კვლავ მოქმედობს დღესაც.

ამის დასამტკიცებლად საკმარი, ამოიკითხოთ შემდეგი საყურა[illegible]ის ცნობები, რომელნიც გამოქვე[illegible] 35 ქ. კავკასიის სასწავლო მზრუნველ[illegible]ნისა, გამოცემულ წიგნში. *)

მაგალითად: 1908 წელს ამიერ-კავკასიის საშუალო სასწავლებელთა [illegible]წაფეების რაოდენობა ეროვნებად ამგვარად იყო დანაწილებული:

	სულ	რუსები	ქართველ.	სომხები.	თათრები.	მთიულები.	სხვა ერები.
გიმნაზ. პროგიმნ.	17,535	5,516	3,859	5,555	583	94	1,928
რეალურ . . .	3,863	1,177	754	882	473	183	394
კერძო სასწავლ.	8,025	312	5,310	1,397	62	134	810
ს უ ლ. . .	39,423	7,005	9,923	7,834	1,118	411	3,132

---

*) მის თხზულებათა მეორე წიგნის წინასიტყვაობაში.

*) Н. Ф. Рудольфъ. Кавказскій учебный округъ за пятилѣтіе 1908—1912 г. г.

თლოს 30 იანვარს და ადელხანოვის განთავისუფლება სატუსაღოდან თავდებობით შესაძლებლად ვერ უცვნია, ხოლო დანარჩენ თხოვნათა შესახებ დაუდგენია: მილოვი განთავისუფლდეს სატუსაღოდან 75,000 მან. თავდებობით, ჩაჩიკიანცი 40,000 მანეთისა და ოსეპიანცი 30,000 მანეთისა. სათავდებო თანხა წარდგენილ უნდა იქნას ნაღდ ფულად, და არა ქონების ღირებულებით. სასამართლოს ბრალდებული არ დასთანხმებია ამ განაჩენს და განუსაჩივრებია იგი სამოსამართლო პალატაში. გუშინ ხმა გავრცელდა, მილოვის ნათესავებმა უკვე წარადგინეს 75,000 მანეთი მის განთავისუფლებლათაო.

◆ **წითელ ბილეთიანების გაწვევა.** გუშინ, 1 თებერვალს, გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც 1 თებერვლიდან სამსახურში იწვევენ პირველი რიგის მოლაშქრეებს, რომელთაც ჯარში გაწვევის წლოვანება შეუსრულდათ 1903, 1904 და 1905 წელს. გაწვეულები უნდა გამოცხადდენ მხედართ უფროსთან ხუთშაბათს, 4 ამა თვეს. დაწესებულებანი, ფირმები და კერძო კაცნი, ვისთანაც აღნიშნული მოლაშქრენი მსახურებენ, ვალდებული არიან ანგარიში გაუსწორონ ამ უკანასკნელთ და მათი წიგნაკები ჩააბარონ.

◆ **სასურსათო საკითხი.** 31 იანვარს კრება ჰქონდა ქალაქის სასურსათო კრებულს და ითათბირა ქალაქთა მცხოვრებლების უზრუნველყოფის შესახებ სურსათის მხრივ. თათბირზე უმრავლესობამ საჭიროდ სცნო გამოირკვას თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა, რაიცა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს სურსათის მოსაპოვებლად, რადგან მცხოვრებთა რიცხვის რაოდენობის კვალობაზე უნდა იქნას შეძენილი სურსათი. ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს გამგემ პ. მ. არღუთინსკიმ განაცხადა, რომ მცხოვრებთა უბრალოდ აღწერას მოუნდება 18.375 მანეთიო. კრებამ ამ საგნისთვის გადასდო 20.000 მანეთი. შემდეგ ამისა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საქონლის ხორცის კრიზისმა. კრებამ დაადგინა ამ საგნის საფუძვლიანად გამოსარკვევად მოწვეულ იქმნან წარმომადგენელნი თბილისისა, ბაქოსი, ეკატერინოდარისა და კავკავისა.

◆ **ესპანიის ვიცე-კონსულად** თბილისში დაინიშნა ვაჭართა ბანკის დირექტორი მინას ბერბერიანი, რომელიც აგრეთვე ბელგიის ვიცე-კონსულის თანამდებობას ასრულებს.

◆ **სკოლა-თავშესაფარი.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა ფიქრობდა გაეხსნა ახალციხეში სკოლა-თავშესაფარი და ამ საგნის შესახებ შესაფერისი ცნობები მოსთხოვა საზოგადოების ახალციხის განყოფილებას. ეს უკანასკნელი სწერს მთავარ გამგეობას, რომ ახალციხეში ასეთი სკოლის გახსნა საჭირო არ არის, სკოლა-თავშესაფარი უნდა გაიხსნას სოფ. უდეს (ახალციხის მაზრა) და სოფ. საკირესო (ოლთისის ოლქი).

◆ შემოვიდა თბილისში 30 და 31 იანვარს: ფქვილი 3 ვაგ., შეშა 1 ვაგ. და მაზუთი 36 ვაგონი.

შეცდომის გასწორება

კვირის მეთაურში დაბეჭდილია: ჩვენი შეძლების **ფარგლის** ფარგალში, უნდა იყოს ჩვენი შეძლების ფარგალში. დაბეჭდილია: თანახმად სასურველად **ცნობის** მეთოდის. უნდა იყოს: **ცნობილ** მეთოდისა. დაბეჭდილია: პირვანდელი მხნელი ინციდენტი მოეშვა, უნდა იყოს: პირვანდელი მხნელი დისციპლინა მოეშვა.

როგორცა ხედავთ ქართველობა უმეტეს პროცენტს შეადგენს: 33,7; მათ მოჰყვება სომხობა—26,6; შემდეგ რუსობა—23,7 და სხვა. სახელმწიფო კლასიკურსა და რეალურ სასწავლებლებში-კი ქართველ მოწაფეთა რიცხვი ნაკლებია გაცილებით სომეხ და რუს მოწაფეთა რაოდენობასთან, ასე რომ ქართველ მოსწავლეთა უმეტესობა უმთავრესად კერძო სასწავლებლებში ყოფილა.

მეტად საყურადღებო და საგულისხმიერო ცნობებია მოყვანილი აგრეთვე ზემოაღნიშნულ შრომის მე-16-ე გვერდზედ.

ასე, მაგალითად, 1898 წელს მთელ კავკასიაში 139 კერძო საშუალო სასწავლებელი ყოფილა; მათში მოწაფეთა საერთო რიცხვი უდრიდა 7.304. 1908 წელს კერძო სასწავლებელთა რიცხვი უდრის 142—მოწაფეებისა—9.435. მაგრამ აქ საინტერესო და საყურადღებოა სხვა და სხვა ეროვნებათა რაოდენობის ცვალებადობა. ამ ათი წლის განმავლობაში რაოდენობის ცვალებადობა ასეთია.

მაგალითად პროცენტს შეადგენენ:

	რუსები.	ქართველ.	სომხები.	თათრები.	მთიულნი.	სხვა ერები
1898 წ.	26,5	27,8	37,6	2,2	0,2	5,7
1908 წ.	13,6	56,6	16,1	0,7	2,0	11,0

ამ ათეულ წლის განმავლობაში ნათლადა სჩანს, როგორ შესამჩნევლად მცირდება სომეხ და რუს მოსწავლეთა ელემენტი კერძო საშუალო სასწავლებლებში და ქართველ მოსწავლეთა რიცხვი კი ორჯერ მატულობს.

ზემო აღნიშნულ კერძო სასწავლებელთა სიაში იგულისხმება სხვათა შორის ქუთაისისა და თბილისის სათ.-აზნაურო გიმნაზიებიც.

კერძო საშუალო სასწავლებელთა საკითხის გაშუქებას შევეცდებით უმთავრესად თბილისის ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის წარსულისა და აწმყოს დაწვრილებითი შესწავლითა და გამორკვევით, ვინაიდგან იგი (ქუთაისის ქართულ სათავად-ზნაურო გიმნაზიასთან ერთად) მთელ კავკასიაში არსებულ კერძო სასწავლებელთა შორის ერთი უძველესთაგანი სასწავლებელია. და ესეც რომ არ იყოს იგი მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ვინაიდგან მის წარსულსა და აწმყოში ნათლად არის აღბეჭდილი მე-XIX და მე-XX საუკუნეთა ჩვენ ინტელიგენციის, ქართულ საზოგადოების და საერთოდ მთელი ჩვენი ცხოვრების ვითარება და არსება.

რაც შეეხება ქუთ. სათ.-აზნაურო გიმნაზიას, დაწვრილებით მის შესახებ ვერას ვიტყვით ანგარიშების და საერთოდ მის შესახებ სხვა ყოველგვარ მასალების უქონლობისა გამო.

თბილისის სათ.-აზნაურო გიმნაზიის შესახებ კი შემდეგ წერილში გვექნება ბაასი.

გიორგი მამრაძე.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი

ვისაც შემთხვევა ჰქონია ჩვენი თეატრის ისტორიისთვის გადაევლო თვალი, უეჭველია, შეჰნიშნავდა თუ რა მწირს ნიადაგზე იყო აღმოცენებული იგი, რამდენი ურვა და გასაჭირი გადიტანა, მის სალს და კლდოვანს საძირკველზე როგორ მძიმედ ეკიდებოდა ფესვი კეთილ მთესველთა მიერ გაბნეული თესლისა, რამდენი შთასახული ნორჩი ხელოვანი მოიტაცა პირქუშმა ქარმა ისე, რომ გაფურჩვნა არცკი აღირსა. მეტად მცირე, ისიც რჩეულთა ჯგუფს ჰხვდა წილად ფეხის მომაგრება და თეატრის მძიმე ბედის ჰაპანის წევა. ამ დალოცვილ, მადლიან ჯგუფს ეკუთვნის ჩვენი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილისაც, რომლის 30 წლის მოღვაწეობას ვდღესასწაულობთ დღეს.

ცოცხალი, ცქრიალა ლიზა, დაიბადა სოფელ კოშკაში 1863 წ. 1 გიორგობის თვეს. იგი დედის ერთა გახლდათ და მიტომაც დიდად უყვარდათ მშობლებს, ნათესაობას. თვისი ბავშვობა გაატარა მათთან სიარულში, ს. ქვემო ნიქოზი, ზემო ხვედურეთი, კოშკა, თუ ქურთა, აი ის უმთავრესი პუნქტები, სადაც ლიზამ თვისი პატარაობა გაატარა. კუდრაჭა, დაუდგრომელი იგი მთელი სოფლის მოლხენა იყო. აღსანიშნავია, რომ პატარაობაშივე ემჩნეოდა იმიტაციის ნიჭი. შეუძლებელი იყო ვისიმე ახალი მანერა დაენახა ცეკვა—თამაში, რომ მას ხელად არ გადმოეღო, არ გამოეჯავრებინა.

ლიზას მშობლები, მართალია, საშუალო შეძლების პატრონები იყვნენ, მაგრამ ბევრი არ უზრუნიათ შვილისთვის კარგი აღზრდა-განათლება მიეცათ. ამისი უმთავრესი მიზეზი გახლდათ ტრადიციული დაუდევრობა და შიში: რო შკოლაში გაიზარდოს, ჩვენ აღარ გამოგვადგება, ახლოს აღარ გაგვიკარებსო. მართალია, ერთხელ თითქოს იმედმა გაუშუქა სწავლა-მოწყურებულს ლიზას, გორში გრუშოვის ქალებს მიაბარეს დაწყებით სწავლის მისაღებად, მაგრამ ეს იყო შემთხვევით, ისიც სულ რაღაც ხუთიოდე თვით, რის შემდგომაც მშობლებმა მალე გაანებებინეს თავი და სოფელს დაუბრუნეს, რაც ისწავლე, ისიც გეყოფაო.

გორში ყოფნას ამაოდ არ ჩაუვლია ლიზასთვის. აქ მის ამხანაგად იყო აწ უკვე განსვენებული მარიამ დემურია. მარიამმა ყველაზე ადრიან მიიქცია ყურადღება მის ოხუნჯობას და სიმკვირცხლეს. მეტი არ იქნება ამ დროიდან გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, ფრიად დამახასიათებელი მისი ბუნებისა და ხასიათის. ლიზას სახლის პატრონს ძაღლი მოუკვდა. ლიზამ მთელი ეზოს ბავშვები შეჰყარა, მომეშველეთ, უნდა ძაღლი გავასვენოთო, ძაღლს კისერზე თოკი მოაბა, მეორე წვერი მისცა ბავშვებს და ისე გააწევინა. თითონ აიღო სოფლიდან ჩამოტანილი „ბუზიკა“ და მხიარულად ააჭყვიტინა. მთელი ეზო კვდებოდა სიცილით. მარიამ დემურიაც მხიარულობდა და ლიზას არაჩვეულებრივ საქციელს სულ სხვა მუშტრის თვალით ჰზომავდა.

ლიზას დიდი განათლება მხოლოდ ეს ოთხი თვის მეცადინეობა გახლდათ, ლეკური და ათასგვარი ევროპიული ცეკვა, პოლკა-მაზურკა. მამას დიდად მოჰქონდა თავი. სად რა ქორწილს მოჰკრავდა ყურს, ლიზას იქ აფრენდა. თანაც სულ იმის ფიქრში იყო კარგი ნასწავლი და შეძლებული სიძე ვიშოვოო. მაგრამ ბედმა სულ სხვა გვარად ისურვა. 15 წლის ლიზა, ჯერ კიდევ მოკლე კაბით, თავზე „აბადოკ“ მოუშორებელი უნდა გაჰყოლოდა უსწავლელ თავადს, მაჩაბელს. ლიზას გული ეთანაღრებოდა, ეკლესიაში მზად იყო მღვდლისათვის უარი განეცხადებინა, ამას არ გავყვებიო, მაგრამ ბედს შეურიგდა, გვირგვინი დაიდგა და ცხოვრების ფერხულში ჩაება.

ახალმა ცხოვრებამ ახალი სიო შეიტანა ლიზას ცხოვრებაში. უაღრესად სიცოცხლით სავსე გოგონა, რომელიც დაქალებაშიც კი ისევ აღტაცებულ ბავშვის უდარდელი ფრთებით დაჰფრენდა, ასეთ ცოლქმრობის კავშირს, თქმა არ უნდა, პირქუში თვალით შეჰხედავდა. მართლაც, დედ-მამას სულ იმას აყვედრიდა, ვითომ რაო, ამას რომ მიმათხოვეთ, რა გსურდათ მაგით? რა ოხრად მინდა მაგის ქმრობა, როცა კუტსა ჰგავს, ადამიანთან ლაპარაკი მაგან არ იცის, ხელის ჩამორთმევა, ერთი და მეორეო. ასეთი კონტრასტები უკვე და რამის მომასწავებლად უნდა ჩაითვალიყო. სიცოცხლე და [illegible] ლიზა [illegible] ვერ მოთავსებულიყო. ოჯახში დაბრებულ ლიზა ხშირად [illegible] გაჰკრავდა ხელს და იქ მირბოდა, სადაც ლხინი და თამაში იყო, იქ იყრიდა თავის დარდს, იქ კვლავ თავს [illegible] ბდა თავის თავად, ნამდვილ ლიზაკოდ.

ლიზა 17 წლისა იყო, როდესაც შეეძინა ქალი, ნუცა. ამ გარემოებამ უფრო გაართულა ცოლქმრობის ურთიერთდამოკიდებულება. ქმარი უდიერი და ლოთი, გაუტანელი და ოჯახისათვის არის მზრუნველი ბუნებრივს პროტესტს იწვევდა ლიზაში. საბოლოოდ დაჭიმული სიმიც გაწყდა, ლიზა განშორდა ქმარს და ისევ კოშკაში გადავიდა მამასთან. აქ პირველად ამოისუნთქა თავისუფლად, მშობლიურ ჰერმა ნორჩი ყრმობის ფრთები შეასხა.

ს. კოშკაში მისი ცხოვრების ახალ დასაწყისად აღინიშნა. შემთხვევით ამ სოფელს ეწვია აწ უკვე განსვენებული ნიკო ხიზანაშვილი, ცნობილი პუბლიცისტი ურბნელის ფსევდონიმით, განსაკუთრებით ჩვენს სამართლისა და ადათების შესწავლაში. იგი კოშკაში რამდენიმე დღით დარჩა გამოსაძიებელ საქმეებზე. ლიზას როცა პირველად მოჰკრა თვალი, ფრიად მოიწონა და მაშინვე თვალში ამოიღო ცხოვრების უღელი მასთან ერთად გაეწია. ლიზას იგი რომანტიკოსის სწორ-უპოვარი სიტყვებით შეჰხვდა, გაჰშალა საარშიყო მომჯადოვებელი ფერადები, ზეციური არსება ღმერთმა შეცდომით ქვეყანაზე მოგავლინაო, თქმა არ უნდა, ვარსკვლავს და ვარდ-ბულბულსაც არ დაივიწყებდა, როგორც სიყვარულის ძველის-ძველ ხელსაწყო იარაღს. გაწითლებული ლიზა მორცხვად მადლობას უხდიდა და თან გულში ინტრიდა, რატომ პირველად მაგას არ შევეყარე, რომ სრული ბედნიერი ვყოფილიყავი. გამომშვიდობება შესაფერი სახით მოხდა: მიველ ქნეინა, უთხრა ნიკომ. მაგრამ მთელი ჩემი სიცოცხლე მოშხამული იქნება უთქვენოდაო.

ლიზას რომანტიულ ნიადაგს ამორიდან ახალი ნიადაგი გაეშალა. ერთმა წვეულებამ ტბილს ოცნებაში გაიარა, ხალისმა უმატა, სიმამაცე დაიბრუნა. სოფელ მერეთში გაჰკრა ხელი, სადაც ისაი ფურცელაძე, ამ სოფლის მემამულე და ლიტერატორი ცნობილი ჩვენი მოღვაწე, ჰმართავდა წარმოდგენებს. მისი ხელმძღვანელობით ლიზამ პირველად ითამაშა 1885 წ. ასიკო ცაგარელის „ხანუმაში“, შესრულა ქაბატოს როლი. ამ დღიდან მიეპყრო ლიზამ ყურადღება. შემდეგ გამოიყვანეს „პეპოში“ შუშანიკას როლში. საავარაკოდ მოსული ინტელიგენცია განცვიფრებაში მოდიოდა ლიზას თამაშით. ამ ქალს თეატრი თვალითაც არ უნახავს და რომ ნახოს, თქმა არ უნდა, ჩინებული მსახიობი გამოვაო. მართალი იყო, ლიზა თამაშობდა, მაგრამ მისი თამაში იყო ბუნებრივი, თავისებური, როგორც თვითონ მას შეეძლო, რომლის შესწავლა და გაგება, სცენის მნიშვნელობაც ისევ ისაიასაგან შეისმა. მერეთში ჩამოსულ ნიკო ხიზანიშვილს (ურბნელს) ფრიად გაეხარდა ლიზას წარმატება, ხელი სთხოვა, ლიზაც დასთანხმდა და თავის პირმშო ქალითურთ გაჰყვა თან.

ლიზამ, როგორც დავინახეთ, მერეთში დაიწყო სცენაზე გამოსვლა და პირველ წლებშიც მხოლოდ აქ ვარჯიშობდა. ისაია ფურცელაძის გარდა მის ნიჭის გაფურჩქნას ხელი შეუწყო აწ უკვე განსვენებულმა ქეთევან ლუარსაბის ასულმა ქურულისამ. ეს მანდილოსანი ცნობილი იყო როგორც მოღვაწე ქალი. მის ხელიდან გამოდიოდა ათასი საქველმოქმედო საქმე, უყვარდა ჩვენი ხელოვნება და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის წარმატება-აყვავებას. ლიზა როცა სცენაზე გამოსული დაინახა, მაშინვე თვალი დაადგა, მაგის აქ დარჩენა ცოდვა იქნება, უნდა ქალაქში გაიგზავნოს ციურ ნიჭის გასაფურჩქნადაო. ლიზა შვილსავით უყვარდა. ერთგვარი პროპაგანდის გაწევა დაიწყო დაუთანხმებინა თბილისში წასვლაზე. ლიზამ საბოლოოდ დასტური დასცა, თუ ჩემი ნიკო და მშობლები უარს არ მეტყვიან. ეს კი ქეთევანისთვის მეორე ხარისხოვანი საკითხი იყო. აღარ დაუყოვნებია, გამოისტუმრა თბილისკენ და თან წერილი გამოატანა იმ დროის ქართულ თეატრის რეჟისორს ვასილ თუმანიშვილთან, ასეთი და ასეთი ნიჭის პატრონია წერილის მომტანი და ვინძლო კარგად უპატრონოთო. შუამავლობამ გასჭრა, ლიზა კარგად მიიღეს, გამოსაცდელად ხანუმიდან ერთი სცენა წააკითხეს, რაიც ლიზამ თითქმის ზეპირად ჩაიკითხა, რადგან როლი უკვე სოფლადვე ჰქონდა ნასწავლი. რეჟისორს ძლიერ მოეწონა, თვეში 40 მანეთი დაუნიშნა და პირველად სცენაზე გამოიყვანა „ახლანდელ სიყვარულში“, ნატალიას როლში, 1886 წ. 12 სექტემბერს. მისმა თამაშმა საზოგადო მოწონება გამოიწვია. ყველა მოდიოდა, ულოცავდა.

გამარჯვებულ ლიზას მხოლოდ მშობლები შეხვდნენ უკმეხად, თავს აბუზრებდნენ, როგორ შეიძლება შენ სცენაზე გამოსვლა, ეს უზნეობაო. მაგრამ ლიზა მათ სურვილების წინააღმდეგ გაილაშქრა, მით უმეტეს, რომ თვით ნიკომ თითქოს (ამ დროს აქ მსახურობდა იგი) პასუხად მისწერა: „მომწონს [illegible] გარდაწყვეტილება, შენ სცენით და მე კი ჩემის კალმით ვემსახუროთ სამშობლოს ხელოვნების აღყვავებასაო“.

მას შემდეგ 30 წელმა განვლო, მაგრამ ლიზას ჩვენი სცენისთვის არ უღალატნია. ბევრი სიტკბოება განუცდი[illegible]ვენებია ჩვენი საზოგადოებისაგან. მისი ღვთიური ნიჭი ხელუხლებელი ხალასი ღირსეულება, რომელიც განსაკუთრებით **ჩვენს ცხოვრებას** დასტრიალებს, ჩვენს ტიპებს ხორცშესხმულს ჰყოფს. მას ამ მხრივ ბადალი არვინ ჰყავს. მართალია, ცხოვრებამ მის თავზე კალო მოსლეწა, ბევრი რამ ძამძარე შეასვა, დაათმენინა რევოლუციის დროს ქმრის ვერაგული სიკვდილი, უფროს ქალიშვილის დატყვევება, შვილების ავადმყოფობა და მრავალი სხვა, მაგრამ ლიზა ყოველივე მტკიცედ [illegible] თვის გარდაწყვეტილება, ერთხელაც არ შეუძრავს წარბი და მგზნებარე გულით, [illegible] უფრო სარტყელ-გულისპირით უბრუნდება სცენაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ხალისის და თავდავიწყების დროს კულისებში გასულიყო და მეორე თვალით [illegible] თავისი ბედი.

ლიზა ჩერქეზიშვილმა მთელი თვის სიცოცხლე [illegible] ბრძოლა და [illegible] პომენისადმი. იგი სიხარულისა და სიცოცხლის კულტის მადლიანი ქურუმია, რისთვისაც ჩვენზე ადრე [illegible] დაიწნა ხელთუქნარი დაუნის გვირგვინი.

დ. კასრაძე.

ელ. ჩერქეზიშვილი.

ივერიელო...

(ელ. ჩერქეზიშვილს)

როგორც მიმოზას მთების სიზმარი, როგორც ხუჭუჭ ტყეს შავთვალა შველი
როგორც ჩემს ლექსებს ძვირფასი ლელი,
როგორც სიმღერა უკანასკნელი,
როგორც ყრმა ცელქი და მოკისკისე,
ივერიელო, მიყვარხარ ისე!..

* * *

მოლურჯო ბინდი მყინვარს ევლება,
ბინდით ითვრება ირგვლივ ტყე-ველი;
მაგრამ ეგ მზერა, ეგ მშვენივრება, ცეცხლი, ღმერთების დამატყვეველი
დაადნობს კოცნით მოლურჯო ფარდას,
დაადნობს კოცნით ივერიის მთებს
აქლრიალდება დროშა ცეცხლისა და მზე-ჭაბუკიც გამოანათებს!..

გ. ლეონიძე.

დ ე დ ა ს

(ელ. ჩერქეზიშვილს)

დღეს ზეიმს ვუხდით ჩვენ ძვირფას დედას
და ავამღერებთ გულის სიმებსა,
ნიშნად მივუძღვნით ყვავილთა კონას
დილის ცვარ-ნამით დანაწვიმებსა.
და შიგ ჩავაწნამთ უმანკო ლოცვას,
ლოცვას წმიდას და შეუბღალავსა,
ვეამბორებით ჩვენ სცენის ვარსკვლას,
სიცილ-კისკასით დაულალავსა.

ი. დაროშვილი.

წკეპლები

სამი თავი

(არაკი)

ორნი ძმანი ტყეში ნადირობდნენ და ერთს ალაგს სამი კაცის ქალა ნახეს.

— ნეტა რა ტომის კაცებისა უნდა იყოს ეს სამი თავიო?—იკითხა უმცროსმა ძმამ.

— დამაცა. ახლავე შევიტყობ,—სთქვა უფროსმა. ჩამოდგა და თითო ქალას ისარი სტყორცნა.

ერთს ქალას ისარმა შიგ გაურა, მეორეს ჩაეჭედა, მესამე ქალამ კი ისხლტუნა ისარი.

— რა შეიტყეო?—ჰკითხა უფროსმა ძმამ.

— ეს პირველი ქალა,—მიუგო უფროსმა;—შამახელისაა; ქარიონ შამახელის თავში რაც უნდა შედეს, ვერა დადგება რა. მეორე ყარაბაღელისაა; ჯიუტ ყარაბაღელს თუ თავში ჩაუჯდა რამე, ვეღარ დააგდებინებ. მესამე კი დერბენდელისაა; იმ ოხერ თავში არც არა შედის და არც არა გამოდის.

ეს ამბავი თათრული, ქართულად ნათარგმნები, ჩვენი დასების საცნობად, მკითხველო, გამოიყენე.

რიშ ბაბა.

შინაური მიმოხილვა

კვირიდან კვირამდე თუ თვიდან თვემდე?

ამ ორი წლის წინად ბ. სამსონ დადიანი კვირიდან კვირამდე სწერდა ჟურნალ „კლდეში“.

დღეს ორი წლის შემდეგ, იგი თვიდან-თვემდე „სახალხო ფურცელში“ სწერს.

ჟურნალ „კლდეში“ ბ. დადიანი თავგამოდებით იცავდა იმ მიმართულებას, რომელსაც დღეს გაზეთი „საქართველო“ შეურყევლად ანვითარებს. ბ-ნი დადიანი „კლდიდან“ იმ პოლიტიკურ მიმართულებას და იმ არ. ჯ—შვილს ეკამათებოდა, რომელთაც დასაცავად ეხლა იგი არავითარ ფერადებს არ ზოგავს.

სანამ ბ. სამსონ დადიანის შინაურ მიმოხილვას „თვიდან თვემდეს“ დავახასიათებდეთ, გაკვრით მაინც უნდა გავიხსენოთ ხსენებულ ჟურნალისტის „მრწამსი“, ჟურნალ „კლდეში“ მოღვაწეობის დროს.

სარწმუნოების სფეროში („ჩვენი დანაშაული“. „კლდე“ 1914 წ. № 2) ბ-ნი ს. დადიანი შეურაცხყოფელად ჰკიცხავს სოციალისტურ პარტიებს: „ჩვენი სოციალისტური პარტიები საერთოდ გულგრილად უცქერიან სარწმუნოების საკითხს. ჩვენს **ს.-დემოკრატიას**, რომელიც თითქმის ხუთმეტი წელი ლეგალურად თუ არა ლეგალურად დაუღალავად ღვწოდა ხალხის შეგნების გასავითარებლად, სრულიად მეტად მიაჩნდა თავისი საშუალი, პროლეტარიატის ინტერესების საზღვრებ გადამიც გადახედვა. რაკი მათ გაუგონიათ, რელიგია თავისუფლების იდეას აფერხებს, იგი მას გადაჭრით ხელსა ჰკრავს და სრულიად არ ითვალისწინებს განსაზღვრულ დროსა და სივრცეში არსებულ პირობებს. არც **ს.-ფედერალისტთა** პარტიას მიუქცევია ყურადღება ამ საკითხისათვის, რადგანაც ერთი მხრით, თეორეტიულმა მსჯელობამ და ს.-დემოკრატიასთან ბრძოლამ გაიტაცა და მეორე მხრით მისაც კი ერიდებოდათ, ვაი თუ ბურჟუაზიულ და კლერიკალურ მისწრაფებას დაგვწამებენო. ასეთმა შეხედულებამ შეუწყო ხელი პასიურ ხასიათის პსიხოლოგიის გამეფებას ჩვენს საზოგადოებაში“.

ბურჟუაზიის მნიშვნელობის შესახებ („სომეხ-ქართველთა ურთიერთობა“, „კლდე“ 1914 წ. № 8) ბ. დადიანი სწერდა: „ბურჟუაზია, როგორც ეროვნულ იდეალების მატარებელი, მხოლოდ იმდენადაა ეროვნული, ეროვნული ინტერესები მას როგორც კლასს მხოლოდ იმდენად იზიდავს, რამდენადაც ეს ერი მის ინტერესებისათვის გამოდგება. მაგრამ არის ხოლმე მომენტები, როდესაც იგი დაინტერესებულია თავისი ერის ღონეში, კეთილდღეობაში. ეს უმეტეს ნაწილად მაშინ, როდესაც ბურჟუაზია ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, როდესაც მას მარტოდ არ ძალუძს გაფართოვოს თავისი ძალები“.

ქართულ ტერიტორიულ საკითხში ბ. სამსონ დადიანი ხომ უმკაცრესი

„იმპერიალისტია" (სომეხ-ქართველთა ურთიერთობა" „კლდე" 1914 წ. №№ 8—9). პასუხად ბ. არ. ჯ-შვილის წერილებისა „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი" ბ. დადიანი მოურიდებლად აღიარებდა: „როდესაც სოც.-ფედერალისტები სოლიდარობისადმი მოუწოდებენ სომხობას და შესაძლებლად მიაჩნიათ **ინტერესთა შეთანხმება** (ხაზი დადიანისაა), ეს მხოლოდ სოციალისტური იდეალიზმით და მათი იდეალისტური ფსიხიკით თუ აიხსნება, თორემ ამ საკითხში როგორ შეიძლება მათი შეთანხმება, როდესაც ყოველი ნაბიჯი სომხის ერისა ქართულ ტერიტორიაზე ქართველთა ინტერესების გადამლახველია?!.*)ჩვენის აზრით —აბოლოვებს ხსენებულ წერილებს ბ. დადიანი—არის ერთი საშუალება, რომელიც სამართლიანად გადასწყვეტს ამ საკითხს: **კავკასიაში ქართულ ტერიტორიად უნდა აღიარებულ იქმნას მხოლოდ ის ტერიტორია, რომელიც ეჭირა საქართველოს სახელმწიფოს, როდესაც იგი ამ ასი წლის წინად რუსეთის სახელმწიფოს დაუკავშირდა**" (ხაზი დადიანისაა).

ამ ამონაწერებით საკმაოდ და მკაფიოდ ხასიათდება ბ-ნ ს. დადიანის ის ეროვნული მიმართულება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სოციალისტურ ტენდენციას და რომელსაც დღეს გაზეთი „საქართველო" გულწრფელად ემსახურება.

ფერისცვალობა ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეებში დღეს, საზოგადოდ, ბუნებრივ მოვლენად ჩაითვლება. სოციალიზმისა და ცრუ სოციალიზმის ბატონობის წინააღმდეგ აუცილებელი იყო ძლიერი რეაქცია და ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალი ქართველი მოღვაწე ჩამოშორდა, თავი გაინთავისუფლა სოციალიზმის იდეალისტურ ზმანებისაგან და ჩაება ეროვნულ პოლიტიკის და ეკონომიკის შემომქმედ პრაქტიციზმში. ხოლო ბ. სამსონ დადიანის ფერისცვალობა ამ მხრივ სრულიად გაუგებარ და არა-ბუნებრივ მოვლენად გვეჩვენება.

გუშინ ბ. ს. დადიანს „კლდიდან" მკაცრი იერიშები მიჰქონდა ქართულ სოციალისტურ პარტიებზე, დღეს „სახალხო ფურცლიდან" მოაქვს „სოციალისტური" იერიშები გაზ. „საქართველოზე"!!. ეს რაღაცა ახალია, მეტისმეტი მოდერნული, რომლის საიდუმლო ავტორის პიროვნებაში უნდა ემარხოს. გარეშე ობიექტიურ პირობებში ამის ახსნას ვერა ვპოებთ.

კვირიდან კვირამდე „კლდეში" ვიყო ნაციონალისტი,

თვიდან თვემდე კი „სახალხო ფურცელში" სოციალისტი-ინტერნაციონალისტი?!.

და რა ფასისა უნდა იყოს ეხლა დადიანის კრიტიკული იერიშები გაზეთ „საქართველოს" მიუვალ პოზიციების დასაპყრობად? რა გრძნობა უნდა გამოიწვიოს მკითხველში ჟურნალისტების „პოლიტიკური" კალმის წვერმა?! და რომ თავისი იერიშებისთვის ვითომდა მეტი სიძლიერე მიეცა, ბ-ნი დადიანი თავის შინაურ მიმოხილვა „თვიდან თვემდეში" (სახ. ფურც." № 492), „საქართველოს" კრიტიკას მორალურ სენტენციების ქადაგებით იწყებს. ბ-ნი დადიანი მორალიზმს გაუწითლებლივ გვიქადაგებს „სახალხო ფურცლიდან", რომლის საორშაბათო გამოცემა, გაზეთი „ზვირთი", სადაც „სახალხო ფურცლის" ფედერალისტთა დასი თანამშრომლობს და სადაც ეხლა თვით მორალისტი სამსონ დადიანიც ბრწყინვალედ გამოსულა, ლანძღვა-გინების და სამწერლო ამორალიზმის ბუდეა! სჩანს, ბ-ნი დადიანი ხელმძღვანელობს ჰოტენტოტის მორალით: „თუ შენ ცოლს მოჰპარავ—ცუდია, თუ მე მომპარავ—კარგია". რა საკვირველია, რომ ველურის მორალის თვალსაზრისით ყოველგვარი კრიტიკა ადვილი ჰხდება. და ამით გაკადნიერებული ბ. სამსონ დადიანი ქართულ პრესის დაქვეითების მიზეზს ხსნის: „არა საკადრის გამოლაშქრებით და თავდასხმით, რომელსაც ანაზდეულად ახდენენ ასე ხშირად გაზეთი „საქართველო" და „თანამედროვე აზრი".

უკომენტარიოდ ვსტოვებ ამ ბრძნულ დასკვნას. სჩანს ფედერალისტების ზვირთმა ღრმად ჩააყურყუმელავა „კლდის" ყოფილი ჟურნალისტი ს. დადიანი.

დ. კახელი.

(დასასრული იქნება)

ბაქოს ვითარება

მრეწველობა. ქართული სკოლა. თეატრი. ქართველი დედები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მთელი ქვეყნის და კერძოთ, მთელი ერის ბედ-იღბალი მრეწველობაზეა დამყარებული: მრეწველობის განვითარება წინ წაგვწევს და მისი განუვითარებლობა დაგვაუძლურებს, დაგვაჩიავებს. საერთაშორისო შეხლა-შეტაკებაში ყოველთვის ის იმარჯვებს, ვინც მრეწველობაში უფრო განვითარებულია,—უმთავრესად, თვითიერი ძალებით ძლიერი. ისტორია-ბუნების და ადამიანის შორის ბრძოლაა, პროგრესსი კი პირველის გამარჯვება და უკანასკნელის დამონებაა!... დღეს ეს ბრძოლაც და გამარჯვებაც მრეწველობაში უნდა ვეძიოთ. ვინც მრეწველობაში ფეხადგმულია, ის უფრო პროგრესიულია. მრეწველობაში ადამიანი ამოგლეჯს ბუნების ძალებს და შემდეგ გარდაქმნის მათ თავის მრავალგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შეიძენს სიმდიდრეს და ყველა იმას, რითაც იგი იკმაყოფილებს თავის სხეულს, თავის გონების და სულის მოთხოვნილებებს. იძენს კეთილ-განწყობილ ცხოვრებას, ვითარდება, იკრეფს თავის არსებაში ძალებს ცხოვრების გასაუმჯობესებლად! მრეწველობის განვითარება-სიმდიდრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა, საზდოს შეძენა, მისი გაზრდა-გაძლიერება.

მთელი ბაქოს მრეწველობა დღეს უმთავრესად თათრებისა და სომხების ხელშია... ქართველებს ნაკლებად შეამჩნევთ. იქ, სადაც ასიოდე წლის წინად კაცის ხმასაც ძლივს გაიგონებდით, დღეს 250 ათასი*) მცხოვრებია. ყოველ წუთს სხვა და სხვა რჯულის ლაპარაკი გესმით. საიდგან სად მოდიან! მომეტებული ნაწილი ახალგაზდობაა. ლაპარაკში და მოძრაობაშიაც შეატყობთ ძალას, გამჭრიახობას, ენერგიას. ტანისამოსით და გარეგნობით თუ გაარჩევ ვინ ვინ არის! მართალია, აქ, ნავთის სამეფოში, ჯერ კიდევ ბევრი რამ პირვანდებულათაა, მაგრამ ყველა ეს გარკვევით ეცემა ადამიანს თვალში.

რამდენსამე წელიწადში ბაქო სრულიად კულტურული, ყოველმხრით მოწყობილი ქალაქი შეიქმნება. ამას აუცილებლად მოითხოვს თვით მრეწველობის განვითარების ინტერესები.

როგორც ვიცით ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ერთად-ერთი დაწესებულებაა ჩვენში, რომელიც ემსახურება სწავლა-განათლების გავრცელებას—სკოლების გახსნით, წიგნთ-საცავ სამკითხველოების დაარსებით და სხვ. გულწრფელად ვიტყვი, რომ სანამ არ მიგვიღწევია იმ მდგომარეობამდის, როდესაც ყოველი ქართველი წერა-კითხვის მცოდნე იქნებოდეს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მნიშვნელობა და მოღვაწეობა ფასდაუდებელია.

დღეს დიდი უმრავლესობისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ როგორც კერძო პირთა და მშობლების, ისე მთელი საზოგადოების იმედები და ერის უმთავრესი იდეალების განხორციელება,—ახალთაობის საღს, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე უნდა იყოს დამყარებული. ვინ იცის რამდენი წყალ წყალა სკოლები არ არსებობს დღეს ჩვენში, სოფლად თუ ქალაქად, სადაც მთელი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში დიდის გულმოდგინებით იზეპირებენ ჩვენი ბავშვები „პტიჩკა იგრაეტ, პტიჩკა ლეტაეტ". რომელი ტიპის სკოლაც უნდა აიღოთ დღეს საერო იქნება იგი თუ სასულიერო, მაღალი იქნება იგი თუ დაბალი, ყველგან და ყოველ მხრით გამარუსებელი პოლიტიკაა გამეფებული. ეს ჭეშმარიტება კარგად აქვს ბაქოს ქართველობას შეგნებულ-გათვალისწინებული და ყოველ მხრით ხელს უწყობს ბაქოში წ. კ. გ. საზოგადოების მიერ დაარსებულ ქართულ უფასო სკოლას, რომელიც მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე სდგას.

სკოლაში დღეს ასზე მეტი მოსწავლე სწავლობს. აქ ასწავლიან წერა-კითხვას და აძლევენ პირველ დაწყებით საზოგადო ცოდნას... სკოლა ჯერ-ჯერობით საღს, სასურველ ნიადაგზეა დაყენებული, რაც ფრიად სასიხარულოდ უნდი ჩაითვალოს ვუსურვებთ წინ სვლას!

ვ. მაცხოვარკარელი.

მომხმარებელ ამ. „მეურნის" წევრთა საგ. კრება

კრება მოხდა 31 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, შალვა ქარუმიძის თავმჯდომარეობით. დაესწრო 50-მდე წევრი. საზოგადოების მდივანმა და ხაზინადარმა გიორგი კანდელაკმა წაიკითხა გამგეობის მოქმედების ანგარიში. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებაში ჩაწერილია წევრად 512 კაცი, რომელთაც ჯერ-ჯერობით შემოუტანიათ ნაწილი თავიანთი გადასახადისა 1,200 მანეთი, ხოლო 4,000 მანეთამდე ამ მოკლე ხნის განმავლობაში შემოვა. გამგეობას მოლაპარაკება ჰქონია თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებულ სადგილ-მამულო კომისიასთან და ამ უკანასკნელს აღუთქვამს 5,000 მანეთის სესხი, იმისა, როცა საზოგადოება სავაჭრო საქმეებს შეუდგება.

კრება შეუდგა მორიგ საგნების განხილვას და დაადგინა: 1) ეხლავე დაიწყოს სავაჭრო მოქმედება; 2) სავაჭრო სახლი ჯერ-ჯერობით გახსნას ქალაქის შუა ადგილას; 3) გამგეობას ნება ჰქონდეს გაიხსნას კრედიტი რომელიმე დაწესებულებაში, მაგრამ ვალად აღებული სესხი არ უნდა აღემატებოდეს წევრებისაგან შემოსულ თანხას.

კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. თვიური ხარჯი ამხანაგობისა ნავარაუდევია 800 მანეთი.—კამათი გაიმართა შესახებ იმისა, რომ ამხანაგობა ჩაეწეროს თუ არა წევრად კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში. ამ საკითხის გამო გამგეობის უმრავლესობას ის დადგენილება გამოუტანია, რომ ამ კავშირში არ ჩაეწეროს წევრად „მეურნე", არამედ ეცადოს მჭიდრო კავშირი შეადგინოს ქართულ მომხმარებელ კოოპერატივთა. კრებამ შეიწყნარა გამგეობის ასეთი დადგენილება.

დასასრულ ჯერი მიდგა გამგეობის განახლებაზე. ეხლანდელი გამგეობა არჩეულია წარსულ ზაფხულზე 3 წლის ვადით. მაგრამ მაშინ საზოგადოებაში ითვლებოდა სამოციოდე წევრი, ეხლაკი, ხუთასზე მეტი წევრი ითვლება, მაშასადამე ახალი წევრები ბევრად სჭარბობენ ძველ წევრებს. ამიტომ გამგეობას საჭიროდ უცვნია გამგეობა განაახლოს საზოგადოების შემადგენლობამ. ამასთანავე გამგეობის თავმჯდომარემ თავ. მ. დ. ჭავჭავაძემ განაცხადა, მე დრო აღარა მაქვს, შეიძლება სულაც გასვლა მომიხდეს თბილისიდან და ჩემს ადგილას უთუოდ სხვა უნდა აირჩიოთ. გამგეობის წევრებმა კ. ხახანაშვილმა და გ. კანდელაკმაც განაცხადეს, რომ ჩვენც თავს ვანებებთ თანამდებობასო.

რადგან უკვე გვიან იყო, კრება შემდეგისათვის გადაიდვა.

გამოქცეულთა შვილებზე ზრუნვა

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ შემდეგი მოწერილობა მიიღო მათი უმაღლესობის დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტისაგან: „მათ იმპერატორობით უმაღლესობის დიდ მთავარ ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტს კერძო პირებისაგან მოსდის თხოვნები, რათა მიანდოს კომიტეტმა მათ იმ ობოლ ბავშვთა აღზრდა, რომელთა მშობლებიც გაიქცნენ მტრის შემოსევის დროს, ბავშვები კი მოთავსებულნი არიან კომიტეტის და მის განყოფილებათა სხვა და სხვა თავშესაფარში და აგრეთვე ბევრ სხვა ეროვნულ და საქველმოქმედო ორგანიზაციებში, რომელთაც ეხმარება კომიტეტი.

გარდა ამ თხოვნებისა კომიტეტმა მიიღო წინადადება აგრეთვე რუსეთის სამზრუნველოდან, რომელსაც მშობელთა და ბავშვთა ზრუნვა აქვს დასახული მიზნად. სამზრუნველო სთხოვს მიაწოდოს მას, რამდენიც სურდეს გამოქცეულთა ბავშვები მოსათავსებლად სოფლად გლეხთა პატრონატებში, ერობის შემწეობით. ამ საკითხის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა, კერძო პირთა და დაწესებულებათა შუამდგომლობანი არ იქმნეს შეწყნარებული. ამ დადგენილებას იმ მოსაზრებით ადასტურებდა კომიტეტი, რომ ჯერ ეს ერთი ობოლ ბავშვთა კერძო პირების ხელში ჩაგდებაზე კომიტეტს, ან სხვა დაწესებულებებს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს და ამ ბავშვების ოჯახებში განაწილება უდრის მათ შვილად აყვანას. შვილად აყვანის საკითხი კი კომიტეტის კომპეტენციაში არ შედის. გარდა ამისა ამ ბავშვების მშობლებს ყოველ წუთს შეუძლიანთ თავისი უფლებანი წარუდგინონ მათზე კომიტეტს; რაც შეეხება გამოქცეულთა შვილების მოთავსებას ფსეც უხერხულია, როგორც აღზრდის წესიერად თვალყურის სადევნებლად, ისე მერე მათ საპოვნელად ამოდენა რუსეთის კუთხეებში.

ყველა ამის გარდა ძალით ყმაწვილების დარიგება მათ ადამიანურ ღირსების დამცირებაა და ადვილად შეიძლება დამოკიდებულების გამწვავებაც, მეტადრე იმ შემთხვევაში თუ ბავშვი ან მისი მიმღები სხვა და სხვა ეროვნებისა და რჯულისა არიან.

ყველა ამ მოსაზრებით მათი უმაღლესობის კომიტეტს ყველაზე უკეთეს საშუალებათ გამოქცეულთა ობლებზე ზრუნვისა, მიაჩნია მათი მოთავსება თავშესაფარებში, საიდანაც მათ მშობლებს ყოველ დროს პირველ მოთხოვნილების შემდეგვე შეეძლებათ თავიანთ შვილების წაყვანა, ამასთან ერთად თვით ამ მშობლებისაგან მოსხლეტილ ბავშვთა დროთი დაბრუნება თავის კერაზე—პირველ სამზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს ამ თავშესაფარებისათვის".

ქართულ კულტ. მოყვ. საზოგადოება

იანვრის 30-სა, საღამოს სრულ 8 საათზე, სამკურნალო საზოგ. დარბაზში, გ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით და მიხ. ხერხეულიძის მდივნობით შესდგა კრება, რომელსაც პეტ. მირიანაშვილმა თავის წიგნში—(„გახსოვდე წერა-ლაპარაკის დროს") მოთავსებული დებულებანი გააცნო-განუმარტა და დასძინა: ჩვენი ინტელიგენცია უცხო სკოლაშია აღზრდილი და რა გასაკვირველია, სხვაგვარად ფიქრობდეს, სხვაგვარად ლაპარაკობდეს და სხვაგვარად სწერდესო. ხშირად ოქროპირად წოდებული ჩვენი მოღვაწე ქართული გრამატიკისა და ენის სრულს უცოდინარობას იჩენსო... აგრეთვე აღნიშნა, რომ ქართული ენა დამყარებულია ორ მთავარ ღერძზე: კეთილხმოვანება მართლ-მეტყველების წესები. შემდეგ ამისა თავისი წიგნის მხოლოდ ცხრა მუხლი გაარჩია. ყოველი მუხლის შემდეგ, სხვა და სხვა დროს ილაპარაკეს: ჯაშმა, გ. იმნაიშვილმა, კალანდაძემ, ბურჭულაძემ, მიხ. ხერხეულიძემ, ხართიშვილმა, ილ. რუხაძემ, მელანიამ, დ. კარიჭაშვილმა, თვით მომხსენებელმა და სხვათ. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

პროვინციის ქრონიკა

ს. სალხინო (სენაკის მაზრა).

წარმოუდგენელია ასეთი ჩამორჩენილი ადგილი, როგორიც სალხინოა. აქ საკმაოდ არიან ინტელიგენტები მაგრამ მათი გაკეთებული საქმე ჯერ არავის უნახავს. აქაურ ორ კლასიან სასწავლებელშიც სწავლა ვერ არის კარგ ნიადაგზე დაყენებული.

ჭიათურა.

ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ განაახლა მოქმედება და იწვევს მსმენელთ საღამოს კურსებზე. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მასწავლებელ ივანე წერეთელთან.

თებერვლის შუა რიცხვებში ჭიათურაში მოხდება შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომა.

ს. ზემო აკეთი (გურია).

მთავრობამ მომხმარებელი საზოგადოება „მშრომელთა შეღავათი"-ს გახსნის ნება დართო.

ს. ტოლები (გურია).

23 იანვარს ღამით სოფ. ტოლებში მოჰკლეს დაბა ჩოხატაურის საბოქაულოს დარაჯი ა. ჩაბრავა.

ს. დარჩელი (ზუგდიდის მაზ.)

ხალხი უკიდურეს მდგომარეობაშია სანოვაგის გამო. განიზრახეს გახსნან კოოპერატიული დუქანი „სიმართლე".

ს. მლეთი (დუშეთის მაზრა).

აქ არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა.

ს. ორტოფი.

ბარბარე-კარის ეკლესიის მზრუნველმა აღმოაჩინა შემდეგი ბოროტ-მოქმედება: ეკლესიაში მოთავსებული წითელ-ჯვრის ყულაბიდან წლის განმავლობაში ფული უპარნიათ. დაახლოვებით 100 მანეთამდე. ამავე ეკლესიის სასანთლე უჯრიდან, სანთელი უპარნიათ.

სოფ. ქვათანი

10 იანვარს მაზრის უფროსის ბრძანებით ბოქაულმა მოიწვია სასოფლო ყრილობა და გამოუცხადა: 4 ჩაფრის ნაცვლად აირჩიეთ ათის თავები. საზოგადოებაც დაეთანხმა.

მაჰმადიანთა ცხოვრება

გაზ. „კასპს" ატყობინებენ რომ გამოქცეულთა მზრუნველ კომიტეტის თავმჯდომარე ექიმი სულთანოვი გამგზავრა ერევანში გადმოხიზნულთა დასათვალიერებლად.

— გაზ. „კასპმა" მიიღო გამოქცეულთა სასარგებლოდ სხვა და სხვა მხრიდან 105 მან.

— ხუთშაბათს, 28 იანვარს მოხდა ნიჯითას საზოგადოების მორიგი სხდომა აშუბოვის თავჯდომარეობით.

თეატრის ქრონიკა

ავლაბრის თეატრი

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრესთან **ძველ სცენის-მოყვარეთაგან შემდგარ ამხანაგობას**, გადაუწყვეტია ავლაბრის „თეატრ-პალას"-ში სისტემატიურად ჰმართოს ყოველკვირა თითო ქართული წარმოდგენა. პირველი წარმოდგენა გაიმართება 20 თებერვალს. რადგან ავლაბარში მრავალი სცენის მოყვარეთა წვრილი დასებია და ბილეთების ძალის ძალათ ხელზე გაყიდვით საზოგადოებას აბეზრებენ; ზემოხსენებულ ძველ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ გამართული ქართული წარმოდგენების ბილეთები, მხოლოდ თეატრის კასაში ისყიდება და მსურველსაც შეუძლიან მხოლოდ იქ მიიღოს.

თბილისი.

კვირას, 31 იანვარს **„ნაძალადევის"** თეტრში წარმოადგინეს „ფული და ხარისხი".

კვირას, 31 იანვარს **სახალხო სახლში** მიხ. კავსაძის ლოტბარობით მუშათა გუნდმა კონცერტი გამართა.

ქუთაისი.

დღეს ქალაქის თეატრში დანიშნულია **მარო მდივანის ბენეფისი** წარმოადგენენ „იუდის მემკვიდრეს„ კალვიას როლს მობენეფისე შეასრულებს.

ბაქო.

კვირას, 24 იანვარს სომეხთა კაცთმოყვარე საზ. დარბაზში ქ. შ. წ.-კ. ბაქოს განყოფილების დრამატიულ სექციამ წარმოადგინა „დამნაშავეა"?

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

			№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ.	9	8.53	სალ.
„	საფ.	„	3	9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„	19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„	4	10.20	სალ.
„	ჩქარი	„	6	12.8	დღის
„	სამგ.	„	8	11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ.	4	9.30	სალ.
„	სამგ.	„	10	9.51	დილ.
ბაქოდან	საფ.	„	3	9.3	დილ.
„	ჩქარი	„	5	7.41	სალ.
„	სამგ.	„	7	1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„	19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8	ს.	58	წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9	„	23	„	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9	„	43	„	„
ვაზიანიდან	10	„	42	„	„
იორიდან	11	„	35	„	„
საგარეჯოდან	12	„	17	„	„
ბადიაურიდან	1	„	15		დღის
მელაანიდან	2	„	37	„	„
გურჯაანიდან	4	„	08	„	„
ვაჩნაძიანიდან	4	„	58	„	„
თელავში მიდის	5	„	35	„	„
გურჯაანიდან	4	„	18	„	„
კარდენახიდან	4	„	50	„	„
წნორის-წყალ. მიდის	5	„	15	„	„

თელავიდან

თელავიდან	8	ს.	58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9	„	45	„	„
გურჯაანიდან	10	„	46	„	„
მელაანიდან	12	„	02	„	„
ბადიაურიდან	1	„	13	„	დღის
საგარეჯოდან	2	„	15	„	„
იორიდან	2	„	53	„	„
ვაზიანიდან	3	„	40	„	„
ნავთლუღ-კახეთ.	4	„	31	„	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4	„	46	„	„
თბილისში მიდის	5	„	01	„	„
წნორის-წყლიდან	9	ს.	16	წ.	დილ.
კარდანახიდან	9	„	46	„	„
გურჯაანში მოდის	10	„	16	„	„

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული"-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული"** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით **3** მ. **50** კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული" არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული"-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули", Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ქავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

---

*) იხილე სამსონ დადიანის წერილები ჟურნალ „კლდეში" 1914 წ. №№ 2, 7, 8, 9 და სხვ.

*) უკანასკნელი სტატისტიკური ცნობიდან.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.